დადგენილება:**დ-37. 3724304001**
თარიღი:**30/10/2024**

დადგენილება N14

2024 წლის 30 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დამტკიცდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესი თანახმად N1 დანართისა.

მუხლი 2. დამტკიცდეს საპროექტო განაცხადის ფორმა თანახმად №2 დანართისა.

მუხლი 3. დამტკიცდეს სოციალური მიზნის მქონე პროექტების მხარდაჭერის / თანადაფინანსების მიზნით, წარმოდგენილი პროექტების შესრულების ფინანსური ანგარიშის ფორმა თანახმად №3 დანართისა.

მუხლი 4. დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 09/09/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016479).

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი